

**ვანლერ დაისელის
პოეზიის ენა
THE LANGUAGE
OF VANLER DAISELI'S POETRY**

მაკა ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალციხე, საქართველო

Maka Beridze

Samtskhe-Javakheti State University
Akhaltsikhe, Georgia

ABSTRACT

The article explores the linguistic features of Vanler Daiseli's poetry and reveals linguistic specificities to the extent that the language of poetry, in general, differs from the language of other genres of literature, as well as from ordinary spoken language. The poet's work is unknown to Georgian readers, just as no extensive research has been done on the literary group of the early 20th century called the "Somnambulebi". The young Vanler Daiseli was one of the members of the group. In the course of the research, the descriptive method and the analysis and comparison method have been applied, and the bibliographical and theoretical examination has been performed.

The peculiarities of Vanler Daiseli's poetic language are formed from several characteristics. The language that is used often rejects traditional syntax, grammar, and punctuation. The peculiarity is manifested mainly in the order of words. The free syntax is used.

Poetic language is strongly influenced by spoken language. The construction of images is an important feature of poetry: repetition, parallelism, metaphor, and so on. Rhetoric replaces syntax insofar as it is related to the rearrangement of words.

The author uses the "foreground" as an aesthetic phenomenon of expressiveness of the language. Linguistic components are another feature of his poetry. The author tries to "modify grammar". Grammar rules change in poetic language, and modified linguistic units are employed. The poet applies lexical, grammatical, and semantic deviations.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოეზია, პოეტური ენა, პოეტური სინტაქსი, ვანლერ დაისელი.

Keywords: Georgian poetry, poetic language, poetic syntax, Vanler Daiseli.

შესავალი

ენისა და პოეტის დამოკიდებულების შესახებ არსებობს ორი თვალსაზრისი; ერთის მიხედვით, „**მხოლოდ ის მწერალი ფასობს ჭეშმარიტად, რომელმაც სათქმელს ოსტატურად მოუმარჯვა თვისი სამეტყველო იარაღი: გაამდიდრა მშობლიური ენა, ახალ საფეხურზე აიყვანა იგი**“ (<http://www.ice.ge/Struqtura/Gankofilebebi/Leqsikologiis/A%20Kalandadze.html>); მეორე მოსაზრების მიხედვით კი, პოეტი თავად გახლავთ ენის პროდუქტი (Brodsky 1995). პოეტმა კარგად იცის, რომ იმას, რასაც უბრალო მეტყველებაში უწოდებენ მუზას, სხვა არაფერია, თუ არა ენის კარნახი. ენა კი არ არის პოეტის ინსტრუმენტი, არამედ ის არის ენისთვის საშუალება არსებობის გასაგრძელებლად. ეს მოსაზრება ეყრდნობა განცდას, რომ ლექსის წერის დასაწყისში პოეტმა არ იცის, რით დამთავრდება პროცესი და ხშირად ის გაოცებულია შედეგით, რომელიც იმაზე უკეთესი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ელოდა.

ნაშრომის მიზანია, მიმოვიხილოთ ვანლერ დაისელის პოეზიის ენის ლინგვისტური მახასიათებლები იმდენად, რამდენადაც ზოგადად პოეზიის ენა განსხვავებულია ლიტერატურის სხვა ჟანრების ენისგან, ასევე ჩვეულებრივი სამეტყველო ენისგან.

საზოგადოებისთვის უცნობი პოეტის, რეპრესირებული შემოქმედის ვანლერ დაისელის შემოქმედების გაცნობის შესაძლებლობა გაჩნდა მას შემდეგ, რაც 2018 წელს ლევან ჟვანიას რედაქტორობით გამოიცა წიგნი „მზის სისხლი“.

წიგნის რედაქტორი ლევან ჟვანია აღნიშნავს: „მე-20 საუკუნის დასაწყისი ლიტერატურული დაჯგუფების ისტორიაში არის ერთი ნაკლებად ცნობილი მოვლენა, კერძოდ, 20-იან წლებში თბილისში კიდევ ერთი ორდენი ჩამოყალიბებულია, ოღონდ ძალიან მცირე ხნითა და დასრულით“ (დაისელი 2018: 14).

როგორც ცნობილია, 1925 წლის 27 იანვარს ახალგაზრდა ხელოვანთა ჯგუფმა გადაწყვიტა, საზოგადოებისთვის ახალი ორდენის დაარსების შესახებ განეცხადებინა. „სომნაბულები“ – ასე დაერქვა ახალ ორდენს. ხელს აწერდნენ სანგო პაულუსი, ვანლერ დაისელი, კლიმენტი თევზაძე. მცირე განმარტება სათაურის შესახებ შეიძლება იყოს ამგვარი: სომნაბულები, ანუ ძილის პოეტები. სომნაბულებში ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ძილში სიარულს“. ესაა პარასომნიური დაავადება, რომლის დროსაც ადამიანი ასრულებს გარკვეული სახის მოქმედებებს ისე, რომ იმყოფება ძილის ფაზაში.

რატომ შეიძლება გამხდარიყო 20-იანი წლების საქართველოში ეს ავადმყოფური მდგომარეობა საინტერესო? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება მივიღოთ მეცნიერთა მოსაზრებებში, რომ ეს ზოგადად მოდერნიზმის ეპოქის მსოფლმხედველობის გავლენის შედეგი შეიძლება იყოს; ის, რომ ინდივიდის ქმედებებს საფუძვლად უდევს არა გონისმიერი, არამედ გონებისმიერი რაღაც. თუკი ქმედებები ჩადენილია არაცნობიერად, ბუნებრივია, მორალური პასუხისმგებლობა მცირდება, თანაც ეს მდგომარეობა უფრო მეტის და თამამად თქმის საშუალებასაც იძლევა. ჩვენი აზრით, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ სომნაბულებით გატაცების მიზეზი და

არჩევანი, საკუთარი ჯგუფისათვის სწორედ ეს სახელი დაერქმია ვანლერ დაისელს.

სომნაბულელთა ესთეტიკურ შეხედულებებში რაიმე გამოკვეთილ მხატვრულ მოდელსა და წერის სტილზე საუბარი არ არის. ამ დროს ქართული მოდერნისტული სივრცე სავსეა სიმბოლიზმის, დადაიზმის, ფუტურიზმის, კონსტრუქტივიზმის, ექსპრესიონიზმისა და იმპრესიონიზმის ელემენტებით. ბუნებრივია, ახალგაზრდა ვანლერი განიცდიდა თანამედროვეთა გავლენას. ვანლერ დაისელი, იგივე ივანე ბაბუაძე, დაიბადა 1903 წელს. მისი პოეტური შემოქმედება არც ისე ხვავრიელია, სულ ხუთ-ექვს წელიწადს ითვლის. მიუხედავად სომნაბულელების წესდებაში ხაზგასმული აპოლიტიკურობისა, ჩანს, რომ რეალურად ისინი სრულიად არ იყვნენ გულგრილნი ეროვნული პრობლემისადმი და ბოლშევიკურ დიქტატს მწვავედ განიცდიდნენ. 1925 წელს დააპატიმრეს ივანე ბაბუაძე, 1926-1929 წელს იგი თავისუფალია და ძალიან აქტიურიც.

ვანლერ დაისელი თავისი შემოქმედებით ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებას. ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის არაერთხელ დაპატიმრებული, დევნილი პოეტი გადასახლებიდან ვერ დაბრუნდა და 1932 წელს არხანგელსკში დაიკარგა მისი კვალი.

მეთოდი

კვლევისას გამოყენებულია აღწერითი მეთოდი. ვანლერ დაისელის კრებულის მიხედვით, რომელიც ერთადერთი გამოცემაა მწერლის შემოქმედების, აღწერილია ის ენობრივი მახასიათებლები, რომლებიც ნიშანდობლივია მისი პოეტური ენისთვის. ანალიზისა და შედარების მეთოდის გამოყენებით გამოვლენილია ვანლერ დაისელის პოეტური ენის ძირითადი ტენდენციები, თითოეული მახასიათებელი რა ფუნქციას ასრულებს და რა როლი აქვს ავტორის შემოქმედებაში.

მსჯელობა და შედეგი

პოეზიის ენა ქმნის ეფექტებს. შეიძლება ითქვას, რომ პოეზია, თავის მხრივ, არის ენა განსხვავებულად გაწყობილი და მოწყობილი. რ.ლევიჩმა აღნიშნა, რომ პოეზიისთვის მისადაგებული ლინგვისტური ანალიზი მიგვიყვანს გრამატიკასთან, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივი ენის გრამატიკისაგან (Levin 1978: 11). განსხვავებები გამოწვეულია ლიტერატურული პირობითობით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსხვავებები იმ მარტივი ფაქტის შედეგია, რომ შემოქმედი ქმნის ახალ ენობრივ რეალობას, ამისათვის ის მიმართავს ენობრივი თავისებურებების მთელ არსენალს.

გ. ლიჩის აზრით, ენაში წესები შექმნილია იმისათვის, რომ პოეზიაში ისინი დაირღვეს. პოეზიაში მეტი თავისუფლებაა, ვიდრე პროზაში. ნათელია თავისუფლების ფუნქციაც. ის ერთგვარი კომპენსაციაა პოეტისათვის იმ თავისუფლების სანაცვლოდ, რომელსაც ის კარგავს მაშინ, როდესაც ემორჩილება ლექსის შინაგან წესრიგს (Leech 2008).

როგორია ვანლერ დაისელის პოეზიის ენობრივი საფარველი? კონკრეტულად, რომელ ენობრივ საშუალებებს მიმართავს ავტორი სათქმელის გადმოსაცემად?

ლექსიკური ნორმების, სიტყვაწარმოების წესების დარღვევა, ნეოლოგიზმები ან საერთოდაც ახალი სიტყვების მოგონება ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის დახმარებითაც პოეტი გამოდის ენის ჩვეული რესურსების ფარგლებიდან. გ. ლიჩი ახალ სიტყვებს ერთჯერად ფორმაციებს (nonce formation) უწოდებს, რომლებიც შექმნილია მხოლოდ ერთი კონკრეტული შემთხვევისთვის, ერთი ფრაზისთვის და ა. შ. გამოვყოფთ ორ შემთხვევას:

პირველი, როდესაც ქართული სიტყვაწარმოებითი აფიქსებით ნაწარმოებია ასეთი ერთჯერადი ფორმა:

„შენ **ათოვდები** სხვა სიფერძკრთალეს

გიშრიალდება თმები გიშერი“ (გვ. 40);

„ო, ოლენდრა **გადმოთოვდი**“ (გვ. 78);

„სად სიყვარულის ყველა უჯრედი

მე მზის სხივებით **მოვაოქროვე**“ (გვ. 89);

„ვინ იქნება **ასიტყვო**...“ (გვ. 50);

ზღვა მარადიულ **აზღაპრების** სარკეებს სწვიმდა,

დადნობის ნდომის ნაკადები გულში კვდებოდა“ (გვ. 102);

მეორე, როდესაც მოგონილია ახალი ფუძე:

„**ცაუ, ცალიელა, ცაუ!** ცისტვალემა.

ცირა! **ცაბადე**. გრძნობა. **ტბარეული**.

დათოვდა. ქალწული თეთრი ბრწყინვალემა.

და. გული. ზის ვნებით გადარეული.

ცა. **ლილა**. თონეზე მჭადივით. მთვარეა“ (გვ. 96).

ორივე შემთხვევის მაგალითი უხვად დაიმეზნება დაისელის პოეზიაში. ჩვენთვის საინტერესოა ამგვარი სიტყვათქმნადობის მიზანი, სხვაგვარად, მისი მხატვრული დანიშნულება. აქაც რამდენიმე ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას; პირველი – პოეტი ამით ენის შინაგანი, ამოუწურავი შესაძლებლობების ჩვენებას ცდილობს; სურს აჩვენოს, რომ ენამ მიიღო, აღიარა მისი, როგორც შემოქმედის, ნიჭი და აზიარებს სიტყვათქმნადობის საიდუმლოს. მეორე კი, ჩვენი აზრით, პოეტის იმ პოეტური იდეის ხორცშესხმაა, რომელიც გულისხმობს სიტყვისადმი, შესაბამისად, სათქმელისადმი იდუმალების მინიჭების სურვილს, აქვე შინაარსის გაბუნდოვანების ხარჯზე ფრაზის ჟღერადობაზე, ემოციაზე ყურადღების აქცენტირების მცდელობას. ასე იქმნება ემოცია, განცდა ერთგვარი მისტიკისა და მკითხველს შექმნილი განწყობის მიხედვით შეუძლია ჩადოს საკუთარი შინაარსი, შეავსოს ან დაასრულოს სათქმელი.

ვანლერ დაისელის ლექსიკურ არსენალს თუ გადავხედავთ, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ იგი მრავალფეროვანია, იგრძნობა ძიება ახალგაზრდა შემოქმედის მხრიდან. ლექსიკასთან მიმართებით გამოვყოფთ ერთ თავისებურებას: პოეტის ლექსიკურ არჩევანში ზოგჯერ იგრძნობა ზეპირი მეტყველების გავლენა. ეს არ არის უცხო პოეზიისთვის. გავლენის წყარო შეიძლება იყოს კუთხური მეტყველება, დიალექტი. არაერთხელ გამხდარა დიალექტიზმები პოეტთა შემოქმედების შესწავლისას მეცნიერთა შესწავლის ობიექტი, ასევე, წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ სლენგი და სხვა. მაგ.:

„გულები ზღვაში საოცნებოდ **გადაგვიცვინდა**
 ორი ყვავილი აჩეხილი მოლანდებიდან“ (გვ. 34);
 „მახსოვს მინდვრიდან როცა დავბრუნდით,
 მთვარე **იღვროდა** მწვანე სუროდან“ (გვ. 40);
 „წყვდიადს **აღრჩობენ** ელნათურები,
 დინამოს უნდა, ღამე გაგუდოს“ (გვ. 40);
 „დღეს პოეტისთვის **გამზადილი** ბევრი მერნები,
 ქშენენ მზეებთან გამბედავი მხედრის გარეშე“ (გვ.76);
 „თვალეებთან თვალეები **მოგაქ** მალულად“ (გვ.85);

ვანლერ დაისელის შემთხვევაში მიზეზი, რის გამოც პოეტი ირჩევს ამგვარ ფორმებს, ვფიქრობთ, არაერთია და უნდა გამოვყოთ რამდენიმე შემთხვევა: პირველი – ეს არის გააზრებული სურვილი თავი აარიდოს სტანდარტულ ენას, ფორმებს, მიიჩნევს რა მათ მუდმივ ხმარებას გარკვეულ „წინებად“, ე.ი. თავისუფლდება ფორმისგან, რითაც აქცენტი გადააქვს შინაარსზე; მეორე – სათქმელის თავისებურებიდან გამომდინარე, მკითხველთან კიდევ უფრო უშუალო დამოკიდებულებისათვის, ე.წ. გაშინაურებისათვის იყენებს სასაუბრო მეტყველებისთვის მისაღებ ფორმებს; მესამე მიზეზი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ახალგაზრდა პოეტს, ეს არის ერთგვარად „ავანტურისტული“ – ეს არის, ერთი მხრივ, მკითხველის, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი თავის გამოწვევა. ძიების პროცესში მყოფი შემოქმედი კმაყოფილი სულაც არ არის სიტყვასთან შეჭიდების შედეგებით:

„ოთახში ვწერთ მე და ჭალი, თითქო ჰქრება კედლები,
 თითქო სახეებთან ვარ, მოქმედების არეზე,
 მეხვევიან სიტყვები, ათრთოლებულ ვედრებით,
 როგორც გუნდი ფუტკრების, ყურძნის მწიფე ქარვებზე.
 უცებ სიტყვა მოვარდება გაგიჟებულ ვეფხვადა,
 თუმცა მისის სიძლიერე საგნის სიღრმეს ვერ ხატავს,
 ვერ მოვკრიფე ჩვენებანი – ბალი მწიფე ხეხილის,
 თითქო ვიყო ხეივანი, ხელებგადახერხილი“ (გვ. 98).

პოეტს ჩვენებანი აქვს, როგორც თავად უწოდებს, მწიფე ხეხილის ბაღს ხედავს, მაგრამ ვერ კრეფს, რადგან სიტყვის სიძლიერე სათქმელს ვერ იტევს. ამგვარი განცდის შემდეგ სრულიად ბუნებრივია რიტორიკული კითხვები და აფორიაქებული სულის შფოთვით მოცული განწყობა:

„ვინ იქნება აასიტყვოს მეოცნებე ნივთები,
 ვინ იქნება, რომ სისრულით საგნის სიღრმეს გაშლიდეს,
 შაირობაც ამას ითხოვს, მეც ამიტომ ვინთები
 და სიმშვიდეს ველარ ვპოვებ ჩემ საკუთარ ხმაშივე...“ (გვ. 99).

მეოთხე მიზეზად კი ჩვენ მივიჩნევთ იმას, რასაც ხაზს უსვამდა ლ.ჯეფრისი, როდესაც ამბობდა: „პოეტები ეჭვგარეშეა, იყენებენ გრამატიკას თუ ლექსიკას, რომელიც აირეკლავს ყოველდღიურ გამოყენებას ან პოეტის კულტურულ ფონს“ (Jeffries... 2020: 35).

შემდეგი მიზეზს კი პირობითად „საჭიროებით ნაკარნახევი“ შეიძლება ვუწოდოთ და ის რიტმის, რითმის, ალიტერაციის, მუსიკალურობისა და განსაკუთრებული ხმოვანების შექმნას ემსახურება:

„ბარათაშვილმა გააჭენა ერთი მერანი,
იყო დროება, პოეტებსაც უხვად **დაფნიდნენ**“ (გვ. 67).

თუ გავაგრძელებთ პოეზიის ენაში გრამატიკული წესებისა და ნორმების უგულვებლყოფის თემას, ვანლერ დაისეღის პოეზიაში გვერდს ვერ ავუვლით რამდენიმე მორფოლოგიური ხასიათის თავისებურებას. თვალში საცემია მესამე ირიზობიექტური პირის ნიშნის გამოყენების სიხშირე. პოეტის მოღვაწეობის დროს თუ გავითვალისწინებთ და საკითხს ენის ისტორიის კუთხით თუ განვიხილავთ, ამ მოვლენაზე ყურადღება გამახვილებულია: „აღნიშნავთ მხოლოდ, რომ **ჰ** და **ს**, როგორც პრეფიქსები ქართ. ზმნისა, ახალ სალიტერატურო ენაში ხშირად იქ არის ხმარებული, სადაც არ არის საჭირო, ანდა, პირუკუ, იქ აკლია, სადაც მოსალოდნელია... ხშირად ერთსა და იმავე მწერალს ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვაგვარად აქვს დაწერილი; მაგ., შ. არაგვისპირელის ერთ მოთხრობაში („დიდი-დედა მარიამი და ხატურა“: რჩეული ნაწერები, 1927) ერთ ადგილას „დაკარგა“ იკითხება (3,16), სხვა ადგილას კი – „დაჰკარგა“ (11,20). იმავე მწერლის იმავე მოთხრობაში ერთ ადგილას „სცოდნოდა“ არის (9,1), მაგრამ ორი სტრიქონის შემდეგ (9,3) იკითხება „ჰსცოდნოდა“, სადაც **ჰ** ზედმეტია. ასეთი მაგალითები უამრავია“ (შანიძე 1980: §230). ანალოგიური ვითარება დასტურდება ვანლერ დაისეღის პოეზიაშიც.

შევეცდებით აღვწეროთ, რა ელფერსა და შინაარსს სძენს ზემოთ აღნიშნული მოვლენა პოეტის სათქმელს. ვ. დაისეღის შემოქმედებაში გვხვდება ლექსები, სადაც პოეტი თითქოს განზრახ ჯიუტად იყენებს ირიზი ობიექტური პირის ნიშანს. გარდა იმისა, რომ ეს განსაკუთრებულ ჟღერადობას სძენს ფრაზას, აქვს კიდევ ერთი ფუნქცია – შინაარსობრივად ტექსტში შემოჰყავს არარსებული ირიზი ობიექტი, როგორც იდუმალი, მისტიკური ლირიკული გმირი. ის არის და თითქოს არც არის.

„**სჰკნებოდა სწლები** როგორც ვარდები
მე კი მეგონა, ვარ პლანეტების მსხვერპლი“ (გვ. 79).

„დგება დღეები მაღალ გლოვიდან,
და **სწვიმს** მუსიკა შავი ფერების“ (გვ. 90);

„**სთოვს...**“ (გვ. 87);

„**სწვეთს** მარმარილო უკვდავების
ფიცის წვეთებით“ (გვ. 99);

„ვიღაცას **სჰკნება** წლები, ასევე ვიღაცას **სწვიმს** მუსიკა,
სთოვს და **სწვეთს** მარმარილო“ (გვ. 67).

შემოდის კიდევ ერთი იდუმალი პირი, რომელსაც ლექსებში შემოაქვს განწყობა, ხშირად ქმნის გარკვეულ ემოციას. აქვე საინტერესოა ერთი გარემოება: ირიზი ობიექტი ლექსში ჩანს, მაგრამ პოეტი პირის ნიშანს არ ხმარობს:

„ვნებას აზნევედა ბნედა და ფლირტები
სიცოცხლეს **დაქონდა** ათასი თემები“ (გვ. 34);

„თოვს, აგონიის რკალში თავდება
ჩემი ოცნება, რომ **გავდა** ვულკანს“ (გვ. 59);

„სათუთი ხელი ვარდებს **მოკიდე**
ნეტავ ღიმილით ყველას მომკიდე“ (გვ. 90).

პოეტისთვის სათქმელის გადმოსაცემად სახელთა მრავლობითი რიცხვი ჩვეული მოვლენაა:

„**მზეების** ტუჩი მკერდზე მადნება,
ქართულ სუნთქვაში ნაბივრიტები“ (გვ. 87);
„ახლა **თოვლები** იმედს მისველებს“ (გვ. 90);
„მე, სუფთა თოვლი და იდილია,
თოვლი მკბენს თოთო თეთრი **კბილებით**.
წერტილი დასვა გნოლის ფრთებზე თვალებმა თოვლით... (გვ. 90);
„მინდა გულიდან სიყვარულის **ელვებს**
ვტყორცნიდე“ (გვ. 102).

კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოეტურ სინტაქსს. ჩვეულებრივ მეტყველებაში ძირითადად გვხვდება მთავარ წევრთა შემდეგი თანმიმდევრობა: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატებები. ვანლერ დაისელის პოეზია გვთავაზობს მთავარ წევრთა თანმიმდევრობის მრავალფეროვან ვარიანტებს:

ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება;
ქვემდებარე, შემასმენელი, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება.
შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება და ა.შ.

არცთუ იშვიათია სახელდებითი წინადადებები. შეინიშნება ერთი საინტერესო ტენდენცია: წინადადების თავისკენ გადატანილი აქცენტი, ანუ ახალი ან მნიშვნელოვანი ინფორმაცია წინადადების დასაწყისში. ასეთი ინფორმაციული სტრუქტურა, ჩვენი აზრით, განაპირობებს აზრობრივი სიმძიმის წინადადების სათავეში გადანაცვლებას, რაც, გარდა იმისა, რომ რიტმის ერთგვაროვნებას იწვევს, სათქმელს ანიჭებს დინამიურობას. მაგ.:

„**სდგას** მწვერვალები ნამალხაზები
თითქოს ქვეყანა გაგუდულია,
წყდება დუმილის თეთრი ხაზები
ლამეს ჯალათს და სახე მურიანს,
მინელდა ყველგან ტემბრების ნერვი,
სცვივა ფერები, არ არის ზომა“ (გვ. 24).

ქ. უელსის სტილისტიკის ლექსიკონში წინა პლანზე წამოწევა, გამოყოფა თვისობრივად წარმოადგენს დინამიურ პროცესს, რომელიც ემსახურება გარკვეულწილად ნაცნობისგან განცალკევებას, იმისათვის, რომ ნაწარმოებში შემოვიდეს სიახლის, უცხოობის, უჩვეულობის განცდა. ავტორი აღნიშნავს, რომ წინა პლანზე წამოწევა შეიძლება მიღწეულ იქნეს გრამატიკული კონსტრუქციების საშუალებით, მსგავსი ელემენტების გამეორებით, რაც პოეზიაში ბევრად უფრო შესამჩნევია, ვიდრე პროზაში (Wales 2011: 60). ჩვეულებრივ, ეს ხდება იმიტომ, რომ ავტორმა ყურადღება შეაჩეროს ამა თუ იმ ენის, კონკრეტულად კი პოეტური ენის თავისებურებებზე, რათა ისინი აქციოს უფრო შესამჩნევი, ან გამოეყოს კონკრეტული სათქმელის გადმოსაცემად. გარდა აღნიშნულისა, ეს ეფექტი მიიღწევა როგორც ნაცვალსახელთა, ისე სხვა მეტყველების ნაწილთა გამეორებით:

„როცა სალამო ტყდებოდა ბროლი.

ზღვის რიტმიული ტალღების ხაზვით.

პალმებში თეთრი მოსჩანდა შოსე,

ზღვაში ჩავარდა მზე გაფერილი,

ზღვა ნუშის თმები მხრებზე გეფინა“ (გვ. 87).

პოეტი ხშირად იყენებს ალიტერაციას, რომელიც გვხვდება ასონანსთან ერთად, რაც მკითხველზე განსაკუთრებულად ზემოქმედებს და მეხსიერებაში აღბეჭდავს ავტორის ნათქვამს, როგორც მკაფიო სურათს. პოეტური ენის ანალიზისას ცალკე ყურადღებას იმსახურებს წინადადების ფრაგმენტების გამოყენება, იგივე ფრაგმენტაცია. სწორედ ფრაგმენტაცია ქმნის ერთ-ერთ გრამატიკულად მაიდენტიფიცირებელ განსხვავებას პოეტური და არაპოეტური ენისათვის. როგორც ე. ჰილიგოსი აღნიშნავს, პოეზიაში ფრაგმენტაციის მთავარი ფუნქციაა მკითხველი განაწყოს აზრის აქტიურ პიროვნულ საძიებლად როგორც წინადადებაში, ისე საერთოდ იმ სამყაროში, რომელიც ნაწარმოებშია გადმოცემული. ეს პროცესი შეიძლება იყოს რთული (Hilligoss 1988).

„დღე მზის სარკეში გატყდა შუაზე,

სივრცე მზის თოვლით ჩამონაქსოვი

მოსჩანს ჩრდილებში მომთვარისფერო“

შენი სხეულის ბარელიეფი“ (გვ. 22).

ს. კეტის სტატიაში „წინადადების ფრაგმენტების პოეტური გამოყენება“ ხაზგასმულია, რომ პოეტი ფრაგმენტებს იყენებს იმიტაციის-თვის და, შესაბამისად, ადამიანური აღქმის ბუნების განსამტკიცებლად. ავტორი ამტკიცებს, რომ აღქმა ფრაგმენტულია, იგი შედგება ფრაგმენტებისაგან, რომელსაც ჩვენ ვკრებთ, როგორც ერთ მთლიანობას (Katz 1997: 34). მეტიც, ქმნის რა წინადადებას ფრაგმენტების დიდი გროვისგან, პოეტი ამტკიცებს, რომ ჩვენ სამყაროს აღვიქვამთ გამოცდილების ბევრი ნაწილის შეგროვებით და მათ შორის მიმართებების დამყარებით.

„მზეების ტუჩი მკერზე მადნება

ქართულ სუნთქვაში ნაბივრიტები,

ეხლა ქარების ქარვის რთველია

გული გავიწვი ვნების მავრთულით“ (გვ. 23).

დასკვნა

პოეტური ენის თავისებურებანი შეიძლება მეცნიერმა იკვლიოს კონკრეტული ლიტერატურული სტილის, განსაზღვრული პერიოდის, ჟანრის, კონკრეტული მწერლის, მეტიც, კონკრეტული ლექსის მაგალითზე. შესაბამისად, ეჭვგარეშეა, რომ ლიტერატურის შესწავლა შეუძლებელია ენის გარეშე, ისევე როგორც ენისა – ლიტერატურის გარეშე. ენის ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებელია ლიტერატურული ნაწარმოების არსის გაგება. ვანლერ დაისელის პოეტური ენის თავისებურებები იქმნება სხვადასხვა მახასიათებლებისაგან; გამოიყენება ენა, რომელიც ხშირად უარყოფს ტრადიციულ სინტაქსს, გრამატიკასა და პუნქტუაციას. თავისებურება გამოხატულია ძირითადად სიტყვათა რიგით. გამოიყენება თავისუფალი სინტაქსი. პოეტური ენა განიცდის ზეპირი მეტყველების ძლიერ გავლენას.

პოეზიის მნიშვნელოვანი მახასიათებელია: გამეორება, პარალელიზმი, მეტაფორა და ა. შ. რიტორიკა ენაცვლება სინტაქსს იმდენად, რამდენადაც ის დაკავშირებულია სიტყვების გადამსმართან. ავტორი იყენებს „წინა პლანს“, როგორც ენობრივი გამომსახველობის ესთეტიკურ ფენომენს. ლინგვისტური კომპონენტები მისი პოეზიის კიდევ ერთი თავისებურებაა. ავტორი ცდილობს „გრამატიკის მოდიფიცირებას“; გრამატიკული წესები იცვლება პოეტურ ენაში, გამოიყენება მოდიფიცირებული ენობრივი ერთეულები. პოეტი მიმართავს ლექსიკურ, გრამატიკულ და აზრობრივ გადახრებს. თუ განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ პოეტთან გვხვდება წესიდან გადახვევისა და მისი დარღვევის შემთხვევები.

დამოწმებული ლიტერატურა

- დაისელი 2018:** დაისელი ვ., მზის სისხლი. რედაქტორი ლევან ჟვანია. თბილისი, 2018.
- შანიძე 1980:** შანიძე ა., თხზულებანი, ტ. III. თბილისი, 1980.
- Brodsky 1995:** Brodsky J., On Grief and Reason: Essays. New York: Farrar, Straus & Giroux, 1995.
- Hilligoss 1988:** Hilligoss E., Fragmentation in the Waste Land: Why T.S. Eliot Tears Down London Bridge. 1988. <http://corerelation.unchicago.edu/vol.3/Hilligoss.htm> 1 დამოწმება: 05.10.2021.
- Jeffries... 2020:** Jeffries L., Giovanelli, M., 1 Nov 2020, A special issue, In: Language and Literature. 29, 4, p. 355-357 3 p.
- Katz 1997:** Katz S., The Poetic Use of Sentence Fragments. 1997. <http://www.eiu.edu/~ipaweb/pipa/volume/katz.htm> დამოწმება: 05.10.2021.
- Leech 1969:** Leech G.N., A Linguistic Guide to English Poetry. London, Longman, 1969.
- Leech 2008:** Leech G.N., Language in Literature: Style and Foregrounding. Harlow. England: Pearson Longman, 2008.
- Levin 1978:** Samuel R. Levin, The semantics of metaphor. Baltimore & London: Johns Hopkins University Press,. 1978. pp. xiv+158;
- Ricoeur 1978:** Ricoeur P., The rule of metaphor (translated by Robert Czerny). Toronto & Buffalo: University of Toronto Press, 1978.
- Wales 2011:** Wales K. A Dictionary of Stylistics. Harlow, Essex: Pearson Education Ltd., 3rd edition 2011. xiv+ 478 pages.